ქალაქ ბათუმის მერი
THE MAYOR OF BATUMI

№ 25-04/3670 „ 28 “ „ 10 “ 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს
ბატონ ტ. ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგსა და თანდართულ დოკუმენტებს მათი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით:

1. ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესარჩევი კონკურსის შედეგს და თანდართულ დოკუმენტებს (კონკურსი №189, სტატუსი - კონკურსი არ შედგა).

დანართი „2...“ ფურცელი.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერი **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 8 (422) 27 26 26. ფაქსი: 8 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995(422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის

საკონკურსო კომისიის ოქმი №3

ქ. ბათუმი, **28 ოქტომბერი, 2011 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

ალექსანდრე ბაღათურია - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 20 ოქტომბერს გამოცხადებული №189 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას გააცნო ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესარჩევი კონკურსის შედეგები. 2011 წლის 27 ოქტომბერს 18^{00} საათისათვის საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი არ ჰქონდა არც ერთ პრეტენდენტს. შესაბამისად, კონკურსი არ შედგა.
საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოთაღნიშნულს.

კომისიამ დაადგინა:

1. რამდენადაც საკონკურსო წინადადება არ წარმოადგინა არც ერთმა პრეტენდენტმა, ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესარჩევ კონკურსს (N189) მიენიჭოს სტატუსი - კონკურსი არ შედგა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: დავით სამნიძე

არჩილ ვანაძე

ალექსანდრე ბაღათურია

ვლადიმერ ხინთიბიძე